



საჯარო
სამსახურის
ბიურო

ფუნქციური და გამგეობრივად საჯარო მმართველობა საქართველოში

საჯარო სამსახურებში საქმისწარმოების
შენეჭერტა შეხვედრა

საქართველო, ქ.თბილისი, 17 ოქტომბერი

2011



დოკუმენტში იხილავთ 2011 წლის 17 ოქტომბერს, საჯარო
სამსახურის ბიუროს ინიციატივით გამართულ, საჯარო
სამსახურების საქმისწარმოების მენეჯერების
შეხვედრის ანგარიშს



ანგარიში

საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივით, ორშაბათს, 17 ოქტომბერს, სასტუმრო „Sheraton Metechi Palace“-ში, საჯარო სამსახურების საქმისწარმოების მენეჯერების შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრის მიზანი სამსახურებში საქმისწარმოების არსებული სისტემისა და ელექტრონული პროგრამების დანერგვასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა იყო. შეხვედრას სამინისტროების, საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის და სხვა ადგილობრივი და საერთაშორისო, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსმა ირაკლი კოტეტიშვილმა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ გიორგი ვაშაძემ.



საჯარო სამსახურის ბიურომ საჯარო სამსახურებში საქმისწარმოების სისტემის განვითარების ხედვა წარმოადგინა და ამ მიმართულებით, მომავალში განსახორციელებელ გეგმებზე ისაუბრა.

შეხვედრაზე საჯარო სამსახურის ბიუროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ-საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პროგრამების სამუშაო ვერსიების პრეზენტაცია გაიმართა.

სამინისტროების საქმისწარმოების მენეჯერებმა წარმოადგინეს მოხსენებები საკუთარ უწყებებში არსებული საქმისწარმოების მეთოდთან დაკავშირებით.

გთავაზობთ მომხსენებელთა გამოსვლებისა და დისკუსიების პროცესში გამოკვეთილ ძირითად პრობლემებს, საჭიროებებს, მიმდინარე აქტივობებსა და სამომავლო გეგმებს მონაწილე უწყებების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ თითოეულ უწყებაში არსებული სიტუაციის ანალიზი მომზადდა უწყებების მიერ გამოგზავნილი კითხვარების საფუძველზე.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

- ❖ საქართველოს იუსტიციის სამინისტროში 2010 წლის ივნისიდან დანერგილია დოკუმენტბრუნვის ელექტრონული პროგრამა. 2010 წლის ივნისამდე, გარკვეული პერიოდი, სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პროგრამის ტესტურ რეჟიმში მუშაობდა. მოგვიანებით გადაწყდა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროში დანერგილიყო მათივე სსიპ-საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაწერილი დოკუმენტბრუნვის ელექტრონული პროგრამა, რადგან უფრო მარტივი იქნებოდა ერთი უწყებისათვის ინფორმაციის გაცვლა და შესაბამისად, უფრო მორგებული იქნებოდა სამინისტროს საქმისწარმოებაზე. აღნიშნულმა პროგრამამ მთლიანად მოიცვა სამინისტრო, მისი საქვეუწყებო დაწესებულებები, სსიპ-ები და



ტერიტორიული ორგანოები.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ-საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ-საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ წარმოადგინა დოკუმენტბრუნვის ელექტრონული პროგრამა, სადაც დეტალურად იქნა განხილული მისი ფუნქციონალობა და პრიორიტეტები.

სსიპ-საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში 2006 წელს დაიწერა პროგრამა, რომელიც შემდეგ გავრცელდა იუსტიციის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებებში, სსიპ-ებში და ტერიტორიულ ორგანოებში, პროგრამა ასევე დანერგულია ზოგიერთ სამინისტროშიც (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო).

აღნიშნული პროგრამის ფუნქციონალობებია:

- ❖ შემოსული და გასული კორესპონდენციის რეგისტრაცია;
- ❖ სკანირებული დოკუმენტის ატვირთვა;
- ❖ სარეზოლუციოდ გადაგზავნა;
- ❖ პროგრამის მიერ დოკუმენტის იერარქიულად მოძრაობა;
- ❖ შესაძლებლობა მომზადდეს დოკუმენტი ინგლისურად ხელმოწერით;
- ❖ ფასიანი კორესპონდენციის რეგისტრაცია;
- ❖ მიღების და გაცემის ბარათების არსებობა;
- ❖ დოკუმენტბრუნვის პროგრამაში კადრების ბრძანების მ
- ❖ მომზადება/რეგისტრაცია;



- ❖ ძეგლის ფართო პარამეტრების არსებობა;
- ❖ სტატისტიკის მარტივი წარმოება;
- ❖ პროგრამის SMS მომსახურება, რომლის მეშვეობითაც განმცხადებელს ეცნობა მის მიერ წარმოდგენილ განცხადებაზე პასუხი, ასევე მოქალაქეს სახლიდან გაუსვლელად ეძლევა შესაძლებლობა, ინფორმაციული სახის ფასიანი განცხადების გადმოგზავნის და მათზე პასუხის მიღების.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

- ❖ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში 2010 წლის 19 ოქტომბრიდან დაინერგა დოკუმენტბრუნვის ელექტრონული პროგრამა, შემდეგ მათი უწყების რამდენიმე სსიპ–იც მოიცვა. აღნიშნული პროგრამა დაწერილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ– საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.
 - ❖ პროგრამაში მარტივად ხორციელდება შემოსული და გასული კორესპონდენციის რეგისტრაცია, დროულად მისვლა ადრესატამდე, მათზე რეაგირება და კონტროლი. გამარტივებულია სტატისტიკის წარმოება შესაბამისი პარამეტრების მიხედვით. პროგრამას საკმაოდ დახვეწილი და სრულყოფილი ფუნქციონალობა გააჩნია. დოკუმენტბრუნვის პროგრამა ამარტივებს მუშაობას, საგრძნობლად ამცირებს სამინისტროს ხარჯებს და უფრო კომფორტულს ხდის კომუნიკაციას მოქალაქესა და უწყებას შორის.
 - ❖ სამინისტროს აკმაყოფილებს პროგრამაში არსებული ყველა ფუნქციონალი და მზად არის დარჩენილ სსიპ–ებშიც დანერგოს არსებული პროგრამა.
-





საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

- ❖ დოკუმენტბრუნვის ელექტრონული პროგრამა დაინერგა 2011 წლის 21 თებერვალს და სრულად მოიცვა სამინისტროს სსიპ–ებიც.
- ❖ აღნიშნული პროგრამა დაიწერა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ–საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. დანერგვის შემდეგ იყო ერთგვარი სირთულეები, რაც მალევე აღმოიფხვრა.
- ❖ ამჟამად პროგრამა საკმაოდ დახვეწილად ფუნქციონირებს, რაც კომფორტს უქმნის მოქალაქესა და უწყებას შორის კომუნიკაციას. დანერგილი პროგრამა აკმაყოფილებს სამინისტროს მოთხოვნებს.

საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო

- ❖ საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროში დოკუმენტბრუნვის ელექტრონული პროგრამა დაინერგა 2011 წლის 19 სექტემბერს. აღნიშნული პროგრამა დაწერილია იუსტიციის სამინისტროს სსიპ–საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. პროგრამას გააჩნია საკმაოდ დახვეწილი ფუნქციონალობა, რამაც კონფორტი შეუქმნა როგორც კანცელარიის ოპერატორებს, ასევე პროგრამის მომხმარებლებსაც. გამარტივდა დოკუმენტზე რეაგირება, მოძრაობა და კონტროლი. პროგრამის დანერგვის შემდეგ მეტი კომფორტი შეიქმნა მოქალაქესა და უწყებას შორის კომუნიკაციისას;
- ❖ სამინისტროში ძალიან სწრაფად მოხდა პროგრამის დანერგვა და თანამშრომლების მიერ დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის ათვისება;
- ❖ გარემოს დაცვისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალაქის გამოყენების შემცირება, რადგან სწორედ ქალაქის წარმოება პირდაპირ თუ ირიბად აისახება გარემოს დაცვაზე. დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ სამინისტროში



ქალაქის მოხმარება ნაწილობრივ წარსულ ჩაბარდა. მადლობა მინდა გადავუხადო საჯაროს სამსახურის ბიუროს და ყველა იმ ადამიანს, რომელიც ჩართულია ამ საკითხში;

- ❖ გარემოს დაცვის სამინისტროში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო პროგრამის დანერგვა, რამაც გამოიწვია ქალაქის მნიშვნელოვანი დაზოგვა;
- ❖ მზად არიან აღნიშნული პროგრამა დაინერგოს სამინისტროს სსიპ-ებშიც.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

- ❖ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ძირითად პრობლემას დოკუმენტბრუნვის ელექტრონული პროგრამის არარსებობა წარმოადგენს. საქმისწარმოება ხორციელდება ქალაქში (ყურნალებში);
- ❖ სამინისტრო გაეცნო საქართველოში პოპულარული პროგრამების ფუნქციონალობას და დაიწყო ინფრასტრუქტურის მოწყობა, ყველა იმ პრობლემების გადაჭრა, რაც ხელს უშლიდა ახალი სისტემის დანერგვას უწყებაში. ყოველივე ეს განხორციელდა საჯარო სამსახურის ბიუროსთან აქტიური თანამშრომლობის შედეგად;
- ❖ მათი უწყება დღეს უკვე მზადაა დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის დასანერგად.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ წარმოადგინა დოკუმენტბრუნვის ელექტრონული პროგრამა. სადაც დეტალურად იქნა განხილული პროგრამის ფუნქციონალობა და პრიორიტეტები.

- ❖ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2005 წლიდან აქვს დანერგილი





დოკუმენტრუნვის ელექტრონული პროგრამის პირველი ვერსია, რომელიც განვითარდა და მეორე ვერსიამ მოიცვა უკვე სამინისტროს სსიპ-ები, ამ პროგრამის მომხმარებლები გახდნენ სხვადასხვა სამინისტროები, უწყებები, როგორც საჯარო სექტორიდან, ასევე სხვა სტრუქტურებიდან;

- ❖ მარტივი და მომხმარებელზე მორგებული ინტერფეისი;
- ❖ ქვეკანცელარიების არსებობის შესაძლებლობა;
- ❖ დოკუმენტების კატეგორიების მართვა კანცელარიის თანამშრომლების მიერ;
- ❖ დოკუმენტების მოძრაობა ქალაქის გარეშე;
- ❖ ელექტრონული დადასტურების (ვიზირება) და ხელმოწერის შესაძლებლობა, ფაქსიმილიის მართვა;
- ❖ დოკუმენტზე ჯგუფური მუშაობის შესაძლებლობა;
- ❖ MS-office-თან ინტეგრაცია, შაბლონების მართვა;
- ❖ დოკუმენტების ვერსიების კონტროლი, დავალებების ეფექტური მართვა;
- ❖ მათი განაწილება, ძებნის მოქნილი შესაძლებლობა;
- ❖ დოკუმენტების არქივი;
- ❖ დელეგირება, თანამდებობრივი ისტორია.

საქართველოს პარლამენტი

- ❖ საქართველოს პარლამენტში 2008 წელს დაინერგა დოკუმენტრუნვის ელექტრონული პროგრამა, რომელიც საქართველოს ფინანსთა სამინისტროშია დაწერილი;
- ❖ აღნიშნულ პროგრამას გააჩნია სრულყოფილი ფუნქციონალობა, რომელიც მორგებულია საქართველოს პარლამენტის საქმისწარმოებაზე;
- ❖ სისტემამ კომფორტი შეუქმნა უწყებასა და მოქალაქეს შორის კომუნიკაციას;
- ❖ გამარტივდა დოკუმენტაციის ძებნა;



- ❖ სტატისტიკის წარმოება;

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

- ❖ საგარეო საქმეთა სამინისტროში დანერგილია დოკუმენტბრუნვის ძველი პროგრამა.
- ❖ დაგეგმილია უფრო ფუნქციონალური საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის დანერგვა, არჩევანის გაკეთება წარმოებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პროგრამებს შორის.
- ❖ ახალი პროგრამის დანერგვის მთავარი მიზანია, სამინისტროს სისტემაში (მათ შორის საელჩოებთან მიმართებაში) ქალაქის დოკუმენტის მოძრაობის მინიმუმამდე დაყვანა და სრულ ელექტრონულ მიმოწერაზე გადასვლა.
- ❖ სასურველია ანალოგიურის გაკეთება სხვა სახელმწიფო უწყებებთან მიმართებაშიც.

საქართველოს ეროვნული ბანკი

- ❖ საქართველოს ეროვნულ ბანკში ელექტრონული დოკუმენტბრუნვა დანერგილია 2008 წლიდან. აღნიშნული პროგრამა არის პირველი ვერსია საქართველოს ფინანსთა სამინისტროში მოქმედი დოკუმენტბრუნვის ელექტრონული პროგრამისა.
- ❖ ამჟამად რეგისტრაცია ხორციელდება დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ პროგრამაში.
- ❖ დოკუმენტების მოძრაობა ხდება მატერიალურად;
- ❖ ამჟამად, საქართველოს ეროვნული ბანკი მუშაობს დოკუმენტბრუნვის ახალი ელექტრონული სისტემის შექმნაზე, რომელიც მორგებული იქნება უშუალოდ საბანკო სისტემის საქმისწარმოებაზე და უფრო მეტად ეფექტურს გახდის მის საქმიანობას.





საქართველოს სასჯელადსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

- ❖ სამინისტროში დოკუმენტბრუნვის პროგრამა დანერგილია 2008 წლიდან. აღნიშნული პროგრამა დაწერილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროში. გამოყენებულია მხოლოდ შემოსული და გასული კორესპონდენციის რეგისტრაციისათვის.;
- ❖ დაგეგმილია უფრო ფუნქციონალური საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის დანერგვა, არჩევანის გაკეთება წარმოებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პროგრამებს შორის.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

- ❖ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში 2009 წლიდან დანერგილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პროგრამა;
- ❖ შემოსული და გასული კორესპონდენციის რეგისტრაცია;
- ❖ დროული მისვლა ადრესატამდე;
- ❖ დროული რეაგირება შესრულებაზე;
- ❖ სტატისტიკის წარმოება;
- ❖ ძეგლის სისტემა;
- ❖ პროგრამის დანერგვამ სამინისტროს ხარჯების და ადამიანური რესურსების საგრძნობლად დაზოგვა გამოიწვია.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო





- ❖ უწყებაში მიმდინარეობს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის პროგრამის დამუშავება. აღნიშნული პროგრამა დაწერილია კერძო ორგანიზაციის მიერ. ხორციელდება სამინისტროს სისტემაზე მორგება და მთლიანად იწერება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინტერესების გათვალისწინებით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ წარმოადგინა დოკუმენტბრუნვის პროგრამა, სადაც დეტალურად იქნა განხილული პროგრამის ფუნქციონალობა და პრიორიტეტები.

- ❖ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დოკუმენტბრუნვის პროგრამა დანერგილია 2009 წლიდან, რომელიც დაიწერა სამინისტროს პროგრამისტის დახმარებით ადგილზე. აღნიშნული პროგრამით სარგებლობს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია;
- ❖ მარტივი და მომხმარებელზე მორგებული ინტერფეისი;
- ❖ ქვეკანცელარიების არსებობის შესაძლებლობა;
- ❖ დოკუმენტების კატეგორიების მართვა კანცელარიის თანამშრომლების მიერ;
- ❖ დოკუმენტების კონტროლი, მათი განაწილება, დავალებების ეფექტური მართვა;
- ❖ ძებნის მოქნილი შესაძლებლობა;
- ❖ დოკუმენტების არქივი;
- ❖ დელეგირება, თანამდებობრივი ისტორია;

პროგრამამ კომფორტი შეუქმნა მოქალაქესა და უწყებას შორის კომუნიკაციას.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია





- ❖ ამჟამად დოკუმენტბრუნვა ხორციელდება ძველ პროგრამაში, რომლითაც სარგებლობს მხოლოდ საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირი.
- ❖ სატესტო რეჟიმშია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პროგრამა, რომელიც უახლოეს მომავალში გაეშვება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

- ❖ 2011 წლიდან დაწერგია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დაწერილი დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის ბაზაზე „დელტას“ მიერ გაკეთებული პროგრამა.
- ❖ აღნიშნული პროგრამის ფუნქციონალობა შეესაბამება სამინისტროს მოთხოვნებს.

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

- ❖ სამინისტროში 2005 წლიდან დაწერგია დოკუმენტბრუნვის ელექტრონული პროგრამა, რომელიც დაწერილია კერძო კომპანიის მიერ;
- ❖ შემოსული და გასული კორესპონდენციის რეგისტრაცია;
- ❖ დოკუმენტის სარეზოლუციოდ გადაცემა და შემსრულებლამდე გადაგზავნა;
- ❖ სტატისტიკის წარმოება;
- ❖ გამარტივებული ძებნა;
- ❖ პროგრამის ფუნქციონალობა დამაკმაყოფილებელია უწყებისათვის.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

- ❖ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში დოკუმენტბრუნვა ხორციელდება EXCEL-ის ცხრილში;
- ❖ ამჟამად მუშაობა მიდის ინფრასტრუქტურის მოწყობაზე;





- ❖ დაგეგმილია უფრო ფუნქციონალური საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის დანერგვა, არჩევანის გაკეთება წარმოებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პროგრამებს შორის.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

- ❖ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში ფუნქციონირებს დოკუმენტბრუნვის ძველი პროგრამა;
- ❖ დაგეგმილია უფრო ფუნქციონალური საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის დანერგვა;
- ❖ არჩევანი შეაჩერეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ–საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს პროგრამაზე;
- ❖ ამჟამად, პროგრამის ბაზები ნაწილობრივ აგებულია, ელოდებიან თანხმობას, რათა გაგრძელდეს სამინისტროში პროგრამის დანერგვასთან დაკავშირებით სამუშაოები;
- ❖ ახალი პროგრამის დანერგვის მთავარი მიზანია, სამინისტროს სისტემაში ქალაქდზე დოკუმენტის მოძრაობის მინიმუმამდე დაყვანა და სრულ ელექტრონულ მიმოწერაზე გადასვლა.

საქართველოს მთავრობის კანცელარია

- ❖ საქართველოს მთავრობის კანცელარიაში დანერგილია დოკუმენტბრუნვის ელექტრონული პროგრამა, რომელიც დაწერა მოწვეულმა პროგრამისტმა;
- ❖ გააჩნია საკმაოდ დახვეწილი ფუნქციონალობა, რომელიც პასუხობს მთავრობის კანცელარიის მოთხოვნებს;
- ❖ შემოსული და გასული კორესპონდენციის რეგისტრაცია;



- ❖ დოკუმენტის ადრესატამდე დროული მისვლა და რეაგირება;
- ❖ გამარტივებული ძებნა;
- ❖ გამარტივებული სტატისტიკა;
- ❖ პროგრამა აადვილებს მუშაობას და საკმაოდ ზოგავს როგორც ადამიანურ, ისე მატერიალურ რესურსს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

- ❖ დოკუმენტბრუნვა ხორციელდება ქალაქში, ჟურნალებში გატარების გზით.
- ❖ მიმდინარეობს უწყების საქმისწარმოებაზე მორგებული პროგრამის ძიება.
- ❖ არჩევანის გაკეთება წარმოებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პროგრამებს შორის.

სსიპ– სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

- ❖ სსიპ– სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში საქმისწარმოება ხორციელდება ქალაქში, ჟურნალებში რეგისტრაციის გზით.
 - ❖ მიმდინარეობს მუშაობა დოკუმენტბრუნვის ელექტრონული პროგრამის დასანერგად.
 - ❖ დაგეგმილია უფრო ფუნქციონალური საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის დანერგვა, არჩევანის გაკეთება წარმოებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პროგრამებს შორის.
-



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

- ❖ დოკუმენტბრუნვა ხორციელდება ჟურნალებში რეგისტრაციის გზით;
- ❖ ამ ეტაპისათვის იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მიმდინარეობს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული პროგრამის დანერგვა.

აღნიშნულმა შეხვედრამ ხელი შეუწყო უწყებებში საქმისწარმოების მენეჯერებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებასა და გამოცდილების გაზიარებას, ასევე საქმისწარმოების კუთხით არსებული ძირითადი საჭიროებების გამოვლენას, რაც თავის მხრივ, ამ მიმართულებით, ერთიანი ეფექტური სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების წინაპირობას წარმოადგენს.

საჯარო სამსახურის ბიურო, 17 ოქტომბერი, 2011 წელი

გვესტუმრეთ



www.facebook.com/CivilServiceBureau

www.csb.gov.ge



www.flickr.com/photos/CSBGovge

www.declaration.gov.ge



www.twitter.com/CSBGovge

www.hr.gov.ge



www.youtube.com/user/CivilServiceBureau



<http://civilservicebureau.blogspot.com/>

